8
1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 10 თბილისი მაისი 1965

ბიჯინური

გამოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კაპ.

— ეს რა გიჭნია, ვანო, სად მიდიხარ?
— წყნეთში მიმყავს ცოლ-შვილი, ძმაო, ბინა ვერ ვიშოვე და რა ვქნა, ასე უფრო იაფი მიჯდება.

სეზონ, სეზონ...

სეზონ, სეზონ, ლალისებრო,
თებრო, შე ლერწამისებრო,
თავზე თმა გაქვს ამურძგნულ
ზოოპარკის ზღარბისებრო.

სოფლიდან რად გამოგვეკეც,
ჩვენი აგონომისებრო,
ალბათ, იმის იმედი გაქვს,
საქმრო აქ რომ მოგიძებნონ.

ტრიტუარზე დასეირნობ,
სოფელს ადარ ნატრობ, თებრო,
როგორ გაქალაქებულხარ
რიპარიპაანთ ნატისებრო.

მორთულხარ და მოკაზმულხარ
საახალწლო ნაძვისებრო,
გოგო იყავ და რა გოგო
მოწყვეტილი მარწყვისებრო.

გიყურებ და ვეღარა გცნობ,
გულჯიგარი მეწვის, თებრო,
თავი რომ დაგმრგვალებია
მუხიანელ ნესვისებრო.

ქუდიც კეფას წამოგიდგამს
კრუხის საბუდარისებრო,
შუბლიანად გაფქვილულხარ
მეწისქვილე ლუკასებრო.

პირსახეც რომ მოგიხატავს
საქართველოს რუკასებრო,
მას ზევიდან წარბები გაქვს
გაპუტული ქათმისებრო.

წამწამებიც გაგაკვარტლია
არყის სახდელ ქვაბისებრო,
პირს აღებ და ვეღარ კეტავ
ქალაქნაყიდ კლიტისებრო.
ხომ ხედავ, რომ ვერ საღდები
„საქჩილოსტნის“ კიტრისებრო.

ქართულ-კახ-იმერ-ამერლებო,
ჭურთები და მალაქნებო
დაგვიბრუნეთ ჩემი თებრო,
ვეხვეწებით ქალაქლებო!..

ვ. გოგიაშვილი

რომელ დაწერდა „ნიავს ალაფს“ ზოგიერთი ქართველი მწერალი

მიხეილ ჯავახიშვილი

— დაჯექ და ჩამოყაჯე! — და თვალებრიალა მგელმა წითელქუდას თვალი თვალში გაუყარა.

წითელქუდაც დაჯდა და ჩამოყაჯა. ერთი საწყალი გოგოა, დედის იმედად გაბრდღვინი. ბებია ავად შექნილა და იქნებ მიეშურება, თან მიაქვს ქადა და ნაბუკი, ყველი და პური, ქთამი და ინდაური, ხილი და ტკბილი, შემწვარი და მოხრაკული, მწარე და მაკვე, ყველი ფასანელი, ეკმრიელი და უგემური.

რაო, რა ბრძანა მგელმა? აქ დაჯდეს და დაიცადოს წითელქუდამ? კეთილი და პატიოსანი, დაჯდება და დაიცდის, ოღონდ...

— ოღონდ ბებიკოს ხელი არ ახლო, შე პარამზადავ, უნამუსო, ტურტლიანო, მსონაგო, გაუმაძღარო, თორეს...

თორემ წითელქუდა მონადირეს მოიყვანს და ჭარამზადა მგელს სულ კუდით ქვას ასროლინებს.

კონსტანტინე გამსახურდია

მერმე ის იყო: არმაღანი მიუძღვნა იგავმიუწვდენელი დედამ წითელქუდას, უბრწყინესს ასულს თვისას პირმშვენიერს — ხაჭაპურნი დიდ-დიდნი და გოლუბანი, ვაშლნი მეწამული და ვარდნი შემბანრნი კეთილად ფრიად.

მგელი მიეახლა წითელქუდას ტყეში, დაღონეული ვაგლახად. ბარე ათორმეტი წყრთის სიგრძე კბილები ჰქონდა და თვალნი მობრიალენი საცოსებრ.

— ეკითხება გათქვარულ დიაცს:

— ვისი ხარო ეგზომ მშვენიერი, ქალო?

ცრემლებმა იწვიმეს წითელქუდას თვალთაგან და ატირდა საწყალობლად, თმა ეებურებოდა ღაწვისთავებზე, ვაზის პწლენებივით დახვეული საყვარლად ფეხ.

— დედაისი ვარო, მგელო ბატონო, — აღმოთქვა შეცბუნებულმა. — ავადააო დედის ჩემის დედამ, მგელო ბატონო, მასთან მივდივარო მახდ.

— ბებია ავადაო?

ელვის უსწრაფესად ზეწამოიჭრა მგელი გველცოფქლივით, ბებიას მიეჭრა და გადაყლაპა მაჯაგანით.

ლევან გოთუა

მზეჩაკრული ღრუბლები ქირქარღვიან, გაუვალ-შეუვალ, ულრან-დაბურულ თავტოტაბადად, ნაქარბუქალ ნაკაფ-ნაწვავ ტყეს, რომელიც ერის ბერეკვით იდგა თავს წამოდგომოდნენ და ყვავულ-ჩრდილოვან გზას მგელივით დასწოლოდნენ. ტყეჩაყოლებით წითელქუდა — გოგო — დედისერთა გამბულ-ამღერებულად მიხტოდ-მიიმღერიოდა და ანუხჩუხებულ - აწკრიალებულ-მორაკრაკე-მონანარე წყაროს მიაყვებოდა. კალთ-წნულში ხილ-ტკბილი რამ მიჭქონდა. ფიქრებ-აზრებმა შეაოცებებს წითელქუდა, რომ მოულოდნელ-ატუზულად წინ თვალშემთხვეული მგელმბოროტი დაუხვდა ძველანცნობივით.

— საიათ ბარებულ-წასულხარ, ახალოკაშვილ? — ჩუმ-ძალუმი ხმით ჰკითხა-მიმართა მგელდედამ.

— ჩემი კაბა-კუბა-ჭრელი ამიღჩაჩავია, საგზალ-ეკმრიელი ხაჭაპურ-ყველჩართული წამომიღ-შემ-

ოვეკვა და ბებიაჩემისკენ გამიწევაძეჩქარებია. პატიოსან-მგელო, — ნიშშებრუნებულად მიუგო ბელშეგრეხებულმა წითელქუდამ და მყარაქცეული ბალახ-მაღალში ჩაეყმხო.

ოთარ ჩხეიძე

ეო, გადაყლაპა, გადაყლაპა წითელქუდაი, გადაყლაპავდა, მაშ რას ბაზმდა, მგელი იყო და მგელობასა ეკრებოდა. ან კი ვითომ რათ არ უნდა გადაეყლაპა? და კიდეც რომ არ ეგადეყლაპა, ხომ მაინც უხდა გადაეყლაპა? ვითომ რათაო? — გაუკვირდება მკითხველსა. იმადა, რომა, ვინც ვისა ყლაპავს, ეფიქრია განა — რათა ვყლაპავო? ჰოდა, თუ არ ეფიქრია, ხომ მაინც უნდა ეფიქრა და. თუ არ იფიქრებდა, უნდა შეფიქრებულიყო მაინც, ჰოდა. — არც გადაყლაპავდა და არც შეფიქრდებოდა. რათ არ უნდა შეფიქრებულიყო. რადგან როცა ვინმესა ყლაპავენ, ვითომ არ ფიქრობენ განა — რასა ვამსჭვრეტითო, მაგრამ, რაკიდა ფიქრობენ, მაგარი ის არის, მკითხველო, რომა, არცა ყლაპავენ ხოლმე, ოღონდა გადაყლაპვაც არის და გადაყლაპვაცა, მოუკრეფავში გადასვლასა კიდევ სხვას ეტყვიან და. რაკიდა გადაყლაპვაა, მაშ რასა ჰსთხოვთ იმ ტურტლიანს მგელსა?

ივანე მოზაევი ანონიმი ავტორი

დღე იყო ცხელი. ცა ოდნავ მოშშენდილი. წითელქუდა იყო ტყეში და იყო საოცრად პატარა. მგელი იყო დიდი.

— ბებია? — თქვა მან.

— არა, — თქვა წითელქუდამ.

— მომბეზრდა ცხოვრება, — თქვა მან.

— ხო, — თქვა წითელქუდამ...

ანტარქტიდაში დიდი სპილობია და მე მიყვარს ჩემი პატარა დიაკონ...

— რა გაქვს კალთაში? — თქვა მან.

— მინდა, — თქვა წითელქუდამ.

— ერთ დროს მეც გიყავი პატარა, — თქვა მან.

— დავლიოთ! — თქვა წითელქუდამ...

დილიდან გადაუღებლად წვიმდა.

შეკრიბა ამ. მგელაძემ.

ნახ. ჯ. ლოლაანი



— თუ ბინდა, გავცვალოთ დედოფლები...

ნახ. ვ. ფირცხალავანი

— ერთფლოული სეანსი.

კიბერნეტიკის ლიმილი

ნახ. ბ. ბეიბანაშვილისა



— ეუბრ რომ ზაილს, კოკტეილი, კოკტეილიო, რა არის კოკტეილში კარგი?



— ხელავ, ჩვენს ზორბისაც აღმოჩნდა სტილიაგი!



— კიდევ ერთხელ რომ ბნახო არყის ბოთლით ხელში. იცოდე, დაგფლი ნაყოლებად.

— დიდი ხანია თავის ტკივილს უჩივით?

— ეს არის, ქალო, შენი ნაძალი ეურორტი ბორჯომი? ვიხარეთი ასეთ.

— გადმოდი ჩვენს ეზოში, დღეს ჩემი დიასახლისის დაბადების დღეა, ანარგ დროს გავეტანრეთ.
— ეს საკენინი შენს მაგალს დაუყარე.

— ფულს გამოშვებენ საინფეთში?
— ხმა ჩაიფუძეიტ, ისინ მეეოფუა, შარშან რომ გაბიშვი და ამხელა ჩანები დამეფდი.

— სულ ჩვენთან ერთად ისვენებდა ლრუტენა და ფულს რა ივოგეა ისეთი, ცალკე ამბარაკი რომ დაუქირა— ვეფხია?

— დავიღუპეთ, ბიკეკო, უცხოელი ტურისტები მოდიან და ნამდვილად გაგვასასლებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიკვე რომ მასაკლ. ვერ მოიფიქრეა

„ამა წლის 26 მარტს, თქვენს მალაზიაში ბაზალარგარეულ ოერმოსთან ერთად მამეიდეს ძროხის რქებისა�ეკეთებული ვეშალეი. ისე არ შეიძლებო, ამიხსნა გამეფდელმა. ახლ ძროხის რქების ვეშოლეი ქიდელზედ კი მოვეკიდეთ, მაგრამ თავიდან ხულ ამამეარდა და ვერა და ვერ გავბხსენეთ, როგორ ჩკიდეთენ ზედ ოერმოსს. კოხოვთ მიპასუხოთ ჩემი სოფლის მასხარაზედ (ალეეტრეტ სწერია)".

(მალაზიაში მიღებული ბარათი)

— .. —

„კოხოვთ მიპასუხოთ ზოგიერთ კოსმოპოლიტურ შეკითხვაზე.

1. რამოდენა ასოები აწერია მარსს, ანდ: ვოქვეთ, ფუბიტერს, რომ ტელესკოპებით დანახეს ასტრონომებმ: „მარსი" და „ფუბიტერი" რომ მქვია?

2. წინადადება შემომაქეს მოვარეზე პირველად მოვარეულები ვიგზავნის, რადგანაც უკეთ მიჩვეულები არიან.

და მესამე შეკითხვაც — გაგახსენებო, რომ მოვარეზე ყველაზეარი ექვსკენ უფრო მსუბუქია, ვიდრე დედამიწაზე. ესე იგი, მოვარეზე ექვსი კილო პამიდორი ერთი კილო ვამოვა, მაგრამ ექვსი კილო გირაც ხომ ერთი კილო ვამოვა? მაუსაბამენ, ექვს კილო პამიდორს მოვარეზეც ექვსი კილო გირა ასწონის.

თუ ასეა, მაშინ არ მესმის, რაკი საჭიროა მოვარეზე ბაზრენა? ბარემ აქ აფწონოთ".

(ვაზეთ „მეცნიერება და ტექნიკის" განყოფილებაში შემოსული შეკითხვა.)

შეარჩია ო. ალდაბაძემ

რებუსი-ბართული ლოტალიზონი

ტიპი II

რუსულიდან ქართულად მთარგმნელთა დასახმარებ-ლად

Пловец—ფლავის გამკეთებელი
Тонус—ვიბრაცია
Хвостун—კუდიანი
Умиленный—გასაბნული
Обожженный—ორეოლიანი
Пантеист—პანტის გამყიდველი
Папирусовый—კაცს რომ რუსი მაშა ეყოლება, იმაზე იტყვიან
Качалка—ქაჩალი დედაკაცი
Луночка—დედალი მთვარე
Малярия—მეგრელი მღებავი
Бездушие—უშხაპო აბანოზე იტყვიან
Выручка—მომცრო ვირი
Радушно—რა ცხელა!
Сторож—ასი სიფათი
Рисованный—ბრინჯიანი.

— რა შემაჯდომეს ამას, ცარიელი ქვალია, მოვიშუალეთ დირექტორი!
— დირექტორი უფრო გამხდარია, ბატონო.

ლოგიკა

— მართალი რომ გითხრათ, სულ არ მესიამოვნა თქვენი დანახვა.
— რატომ! მე პირიქით!
— თქვენ სხვა ხართ!
— წავიდეთ?
— არ ღირს, მე მგონი!
— როგორ არ ღირს, რამდენი ხანია, შენი ნახვა გვინდა.
— ჩემი ნახვა ჩემს ცოლ-შვილსაც უნდა, მაგრამ...
—წავიდეთ, წავიდეთ, დრო არ მაქვს!
— სხვა დროს რომ მოვიდე?
— შენ შენით მომსვლელი არ ხარ, წავიდეთ, მოქალაქეე, ხელი არ მომაკიდებინონ!

მ. ბერაძე

მინიატურები

მაშინ გაზაფხული იყო სოფელში

...მაყურებლებით სავსე იყო დარბაზი. დაძაბულად უმზერდნენ ეკრანს. უცებ ეკრანი შავმა ზოლებმა გაკაწრეს. ცემენტის იატაკზე აკაციქ წვეთების მოკრძალებული წკაპუნი გაისმა. ამ ამბავს ჯერ ყურადღებას არ აქცევდა კინოფილმით გატაცებული მაყურებელი, მაგრამ, როცა უყურადღებობით გაჯავრებულმა წვეთებმა თავში და კისერში ჩაუყაყუნეს, იარაღს და შეჩოჩქოლდნენ. მერე წვეთებმა იმატეს და... წვიმა დარბაზში წამოვიდა. ამ დროს გარეთ არ წვიმდა. თებერვლის მიწურულის მშვენიერი, თბილი ამინდი იდგა. თურმე ნე იტყვით, კლუბის სახურავზე თოელ დნებოდა. უკანასკნელ წუთებს ითვლიდა ზამთარი, მაშინ გაზაფხული იყო სოფელში...

ასე მოვიდა კულტეცი გაზაფხული წელს ხაშურის რაიონის ოსიფერის სასოფლო კლუბში და ასევე მოვა, ალბათ, თუ მერძის კოლეეურნეობის გამგეობა ასევე შეუკეთებელს დატოვებს კლუბის სახურავს.

ბ. ბერთალია

ბაბა და შვილი

მოხუცი ბაბა ქალაქში მცხოვრებ შვილს, რომ მიადგა, შვილმა ძმიდ გაუღო კარი.
— მოდიხარ, ბაბაჩემო, ვერ გიცანი, ალბათ, გამდიდრდები.
— აწი რაღა დროსია, შვილო. ისე, უფრო ადრე რომ დაგვიწყებოდი, რაც მქონდა, კი შემრჩებოდა.

ა. ბასილაია



— ეს ჩემი მეზობელი წელს ზღვაზე მიდის დასასვენებლად!
— მერე შენ რა გიხარია?
— თურმე დიდი ლელვებია მოსალოდნელი.

შეუნდე, ნიანგო

თბილისის სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტმა ტრისტან ავაზნელმა გამოცდებისათვის მზადების ადგილად მშობლიური გორი აირჩია, მაგრამ ვერ დაუდო გული მეცადინეობას. შემოქმედებითი სურვილის ალტკინებისათვის, ერთ დღესაც გაზეთს მიმართა და, ლატარიის მომგებიანი ცხრილის დანახვაზე, ფრიად ისიამოვნა, სახლამდე სირბილით იარა, ოთახში ჩაიკეტა და მოგებაზე გამწყრალი ციფრები ლატარიის ბილეთიდან ფრთხილად ამოფხიკა, მის ადგილზე კი მოგებული ბილეთის ნომერი ჩააწება და ქუჩაში გამოვარდა.

არც ცხრა მთა გადაუვლია, არც ცხრა ზღვა გადაულახავს, ორიოდე ქუჩა გადაჭრა და შემნახველ სალაროს მოლარეს მიაწოდა შესწორებული.

— ამ ბილეთის ნომერი ხომ არ გაგისწორებიათ?!

— როგორ, ლატარიის ბილეთსაც ასწორებენ?! — გაიკვირვა ტრისტანმა და მიღებული ფული გულის ჯიბეში შეინახა.

იმის შემდეგ ფხიკა და აწება, ფხიკა და აწება...დაოსტატდა მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტი. შემოსავალმაც იმატა, გაიმართა ამოფხეკა—ჩაწებების არალეგალური საამქრო...შემოქმედებითი მივლინებისათვის მალე თბილისსაც მოაკითხა და, დიდი ფერწერული ტილოს ნაცვლად, გასწორებული და გამჟღავნებული ლატარიის ბილეთი ჯიბით ჩამოიტანა.

ახლა ლატარიის ბილეთების ნომრების გადაკეთების ხასიათზე ვეღარ არისო და შეუნდე, ნიანგო, რამეთუ ცუდბოლოიანია ცოდვანი მისნი.

* * *

ადრე მსგავსი ცოდვებისათვის უხსენებელ ადგილზე დასვენებულ მიხეილ ხაიმის-ძე პაპისმედოვს არც დასვენების შემდეგ შეჰყვარებია ვაზის მოვლა და პატრონობა, (განსაკუთრებით ეჯავრებოდა ბარვა, თოხნა და სხვა მისთანები). არაყი კი უყვარდა და მისი გაკეთებისათვის მზამზარეულ სპირტზე უფრო კარგი დედა ქვეყანაზე არ ეგულებოდა. ერთ ჯერზედაც მიხეილმა 272 ბოთლი არაყი თათარიახნად მოაფიშფიშა, თავზე ლუქი უთავაზა, გვერდზე იარლიყი და,—ხაბარდა!.. გაუყვა გორში მაღაზიის გზას. მაგრამ მოხდა საკვირველება, არყით დატვირთული მოტოროლერი მაღაზიის კარებთან გაქირს მოყვარული სახედარივით გაიჩხირა და, შეუნდე, ნიანგო, რამეთუ არაყი ცოდვიანია კაცთათვის ესე!

ქარაშოტი, კახელიშვილი

— შენი სახელი, ბიჭიკო?
— ვახტანგი!
— მამის სახელი?
— რად გინდათ მამის სახელი, მასწ., ისე, ვახო დამიძახეთ!

„შეაყარე კედელს ცერცვი“

(კედლის გაზეთის მიმოხილვა)

გამოვიდა სასტუმრო „მასპინძლის“ ყოველდამეული კედლის გაზეთის „დაუპატიჟებელი სტუმრის“ მორიგი ნომერი. მოწინავე სტატიაში „სტუმარი ღვთისაა“ ლაპარაკია იმ დიდ ამოცანებზე, რომლებსაც სასტუმროს წინაშე აყენებენ ულვთოდ განაწამები სტუმრები. აქ ხაზგაუსმელადაა ნათქვამი, სასტუმროს მორიდება უნდაო.

რიხიანად იკითხება ექიმის საუბარი —„ხვრინვა და მასთან ბრძოლა“. ამავე თემას ეძღვნება ხახიაშვილის რეპორტაჟი მეხუთე ნომრიდან — „შენ რომ ხვრინავ, მე რას მერჩი, ძმობილო?“

მასპინძლის მოკრძალებით დაწერილი პატარა ფელეტონისთვის სამსახურში მოწყობას იმსახურებს უმუშევარი ჟურნალისტი ჟორჟიკაშვილი. შეიძლება დაგამახსოვრდეთ კიდეც მისი სათაური: „სასტუმროში რა გინდოდა?“ და განსაკუთრებით კი პირველი სტრიქონის ბოლო სიტყვები: „მიშველეთ, წყალი!“

ფელეტონი თეთრი ლექსითაა დაწერილი, მაგრამ ავტორი შავი ფერებით ხატავს სასტუმროს მომსახურე პერსონალის უყურადღებობას თეთრეულისადმი.

ერთ-ერთი სტუმარი კრიტიკულ სტატიაში—„მწუხრის ზეწარი გადამეფარა!“—გულახდილად ლაპარაკობს იმაზე, როგორ გადახადა ღამით საბანი სასტუმროს მორიგემ, როგორ შეუმჩნევლად გადააფარა ზეწარი და მისი ერთადერთი საბანი მეორე საბნად როგორ დაახურა უფრო საპატიო სტუმარს. „ასეთი თავხედობა არავის არ უნდა ეპატიოს!“ —გულამოსკვნილი დაასკვნის საბანდაფულგადახდილი სტუმარი.

ცოტა ქვემოთ ხელმოუწერლადაა მოთავსებული ნიჭიერი ადგილობრივი მხატვრის უტექსტოუნახატო ხუმრობა. უადგილო არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ხუმრობის გარეშე კედლის გაზეთი ბევრს წააგებდა.

ცოცხლადაა დაწერილი ცეცხლაძის შენიშვნა —„მკვდარი სულები“. ავტორი უმათრახოდ ამათრახებს კედლის გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტებს, გარეშე საქმეებით არიან გართულნი და მასალებს არ აწვდიან გაზეთის კედლკოლეგიასო. „სწორედ მათზეა ნათქვამი: შეაყარე კედელს ცერცვიო“. —ასე ამთავრებს შენიშვნას გაცეცხლებული ცეცხლაძე.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება არ შეამჩნიოთ უკანასკნელი გაფრთხილება: „მოგვაწოდეთ წერილები შემდეგი ნომრისათვის!“, რომელიც წითელი ფანქრითაა დაწერილი და ერთგვარი დისონანსი შეაქვს გაწყალებული მელნით ნაწერ ტექსტებში.

დიდ ფელეტონებში —„სითბო არ არის, რად კითხულობ, მაკანკალებს რა?“, „წუთისოფლის სტუმრებიც ვართ!“, „მობრძანდით, გელით შეშის ერთ ღერით!“—გაშიშვლებულია ზამთარი, რომელმაც არ გაითვალისწინა სასტუმროს უშეშობა და მაინც ესტუმრა.

კედლის გაზეთი დაწერილია შეკრულ-გაკრული ხელით, რედაქტორის მაგიერ ხელს აწერს მეორე მოადგილე, უადგილობის გამო გაკრულია წვიმით ჩამორეცხილი კედლის კუთხეში —ფანჯარასთან, ასრულებს მინის მაგივრობასაც, საკუთარი კუთხით ასახავს სასტუმროს ავ-კარგს, სავსეა კუთხური დიალექტებით და უმკითხველოდაც კარგად იკითხება.

ბათუ მელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწორება

საუზმის შემდეგ, სამსახურში წასასვლელად მზადებას რომ შეუდგა, ათანასემ, ისე, სხვათა შორის, გადაულაპარაკა ცოლს:

— რაღაცა კარგს გპირებ ამ ერთ კვირაში, ჩემო ვარდო, და აბა მოემზადე!

ვარდოს გულმა რეჩხი უყო, სიმსუქნის გამო ჩამოზრდილი ღაბაბი აუთამაშდა, ბროწეულისფრად შეღებილი ტუჩები გაეპო და ფარული სიკეკლუცით გადაულაპარაკა ქმარს:

— ბეჩა, ბარემ მითხარი სათქმელი, გამიგონია კაი საქმის გადადება?

— დაბადების დღე უნდა გადაგიხადო, ჩემო ვარდო..

— შენ დაილუპე საცხა, ათანასე გადარეულო! —ჩაიკისკისა ვარდომ და რბილ სავარძელში მუთაქასავით ჩაესვენა, —ჩემი დაბადების დღე რამ მოგაგონა, შე კაცო?

— გადასარევი მიზეზია სტუმრების დასაპატიჟებლად, ჩემო ვარდო.

ვარდომ მხრები აიჩეჩა.

— იცი რამდენი ვინმე მყავს პატივსაცემი, ჩემო ვარდო?.. ახლა რამდენს წინასწარ უნდა ვცე პატივი. რა იცი, ვინ სად, და რაში დაგჭირდება... შენ კი სწორედ შაბათს ღირსშესანიშნავი თარიღი გისრულდება.. და ამას ნამდვილად აღნიშვნა უნდა. —პათოსით ქადაგებდა ათანასე.

— ღირსშესანიშნავი თარიღი რაღა ჯანდაბაა?

— მაგალითად შენი ორმოცდაათი წლისთავი ღირსშესანიშნავი თარიღია.

ცეცხლისფრად ალეწილი ვარდო ბურთივით წამოვარდა სავარძლიდან.

— რას ამბობ, ათანასე გადარეულო, ჭკუაზე გადაცდი მართლა?.. ვინ გითხრა, რომ მე... ორმოცდაათი წლისა ვარ, ვინ?...

— პასპორტში ასე წერია... რავა, შეცდომაა?

— შე ღვთის გლახა, ორმოცდაათი წლისას ვგავარ განა მე?!. აბა შემომხედე, ერთი ჭაღარა თუ მირევია თმაში...

— დილიდან დაღამებამდე საღებავი და ჯაგრისი გიჭირავს ხელში, ჭაღარის გამოჩენას დააცლი შენს თმას? — მწარედ გადაუკრა ქმარმა ცოლს.

— მასე, ხომ?.. აბა, გაგიბედია და მოგიყვანია აქ ვინმე, იცოდე, მეეზოვის ცოცხით გაგიხვეტავ ყველას სახლიდან.

ათანასემ საყელო გაისწორა, ოთახში რამდენჯერმე ბოლთა დაარტყა და კატეგორიულად განაცხადა:

— დაბადების დღე უნდა აღვნიშნოთ, ამას საქმე მოითხოვს, რით ვერ გაგაგებინე?..

— ცოცხალი თავით არავის გავაგებინებ, რომ... როგორც შენ ამბობ... ორმოცდაათის შევსრულდი. —აქვითინდა ვარდო.

— ისე, შენი ანგარიშით მაინც, რამდენისა სრულდები?..

— ყოველ შემთხვევაში, ორმოცდაათის რომ გავხდე, სულ ნაკლები ათი წელი მაინც მჭირდება...

— გაფიცებ ყველაფერს, ვარდო, ოცდაათი წლის ცოლ-ქმარი ხომ ვართ მე და შენ?

— რა გინდა მერე მაგით თქვა?.. — თვალები დააბრიალა ვარდომ.

— არაფერი, ისე ვიკითხე.. — ულვაშებში ჩაეცინა ათანასეს.

— გულზე გინდა გამხეთქო, ათანასე?.. არ გავსკდები შენს ჯინაზე, არა!..

— შენი საიუბილეო თარიღი ზოგიერთების თვალის ასახვევად მჭირდება, თორემ, შენ არ მომიკვდე, მაინც არავინ დაიჯერებს, რომ შენ ორმოცდაათის ხარ. ა, ბატონო, ჩაიხედე სარკეში... აბა, ერთი ჭაღარა თუ გიციმციმებს შავნაბადა თმებში?.. ახლა რა ფერზე ხარ... მაისის ვარდივით ღუიხარ!.. საქორწინო ბიჭი რომ ვიყო, ულვაში შემირცხვეს, შენს მეტს სხვას თუ შევირთავდი.

— შაქარი კი არა, თაფლიც რომ წაისვა მაგ ენაზე, ვერ შემაცდენ, ათანასე, წყეულო!

— ვარდიკოს ჭირიმე, ქურქს გიყიდი, ქე რომ შარშანწინ დაგპირდი.

— არ მინდა!

— საგზურით გაგიშვებ ბიჭვინთაში...

— არ მინდა!

— ოპერაში წაგყვები!..

— არ მინდა!

— ქალო, ეს ჩვენი ნაბოლარა ბიჭი აგერ მესამე წელია, ინსტიტუტის კარებთან რომ არის ატუზული შაბათის მათხოვარივით, შენობაში რომ შედგას ფეხი, არ გინდა?..

— არ მინდა!

— შენი ქმარი ათანასე დაფასებული უფროსი რომ გახდეს, არც ეს გინდა?

— არ მინდა, არ მინდა! —კისრის ძარღვები დაიწყვიტა ყვირილით ვარდომ.

— აბა, რა გინდა, შე ჩემი ცოდვით სავსევ... რა გინდა? —ხმას აუწია გაგულისებულმა ათანასემაც.

ვარდოს ცრემლები წასკდა და სამრეკლოს ზარივით იქუხა:

— მე მინდა კაცობრიობას გამოცანად დარჩეს ჩემი დაბადების თარიღი!

ნანა კანდელაკი

ნახ. გ. ფირცხალავასი



— კი მაგრამ, რა ენაზე ელაპარაკები მასწავლებლებს?

ნახ. ა.



№ 369
25/V

უტექსტო ხუმრობა.

ნახ. ა. ერაქისა



უტექსტო ხუმრობა.

რედაქტორი ნ. დუმბაძე. სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги".

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 14/V-1965 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1678. უე 03225 ტირაჟი 40000.

ნახ. ბ. ლოგვინისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76317

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დომინგოს რესპუბ-
ლიკაში მცხოვრები 1000 ამერიკელის „დასაცავად“
30.000-ზე მეტი ჯარისკაცი გაგზავნეს.